

2010

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.
გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს გედმეგი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი სახის აღნიშვნები, არ გასწორდება.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისთვის განკუთვნილი ადგილები.

დავალებაში - «არჩევითბოლოიანი კითხვა» - თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა – ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. სხვა ტიპის დავალებებში შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ და გემოთ დააწეროთ სწორი პასუხი. ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ აბიგურიენტს ეძლევა 3 საათი. შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

I – არჩევითბოლოიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თითოეული დაგალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი სახელმწიფოს მეფე იყო ქსერქსე?

- ა. ასურეთის
- ბ. ურარტუს
- გ. მითანის
- დ. სპარსეთის

(1) 2. სტრაბონის ცნობის მიხედვით, ვინ შედიოდა ქართლის სამეფოს მოსახლეობის მეორე გვარში?

- ა. სეფეწულები
- ბ. ქურუმები
- გ. მხედრები
- დ. ვაჭრები

(1) 3. რომელი დინასტია იდგა ირანის სახელმწიფოს სათავეში III-VII საუკუნეებში?

- ა. აქემენიანები
- ბ. სასანიანები
- გ. სეფიანები
- დ. ყაჯარები

(1) 4. ვინ გამოგზავნა საქართველოში მურვან-ყრუ?

- ა. ოსმალთა სულთანმა
- ბ. მონღოლთა ყაენმა
- გ. ირანის შაჰმა
- დ. არაბთა ხალიფამ

(1) 5. რომელი ქართველი მეფის თანამედროვე იყო რომის პაპი ჰონორიუს (ონორე) III?

- ა. დავით IV
- ბ. თამარის
- გ. რუსუდანის
- დ. გიორგი V

- (1) 6. რომელი ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი?
- ა. ბასიანის
 - ბ. დიდგორის
 - გ. ერწუხის
 - დ. შამქორის
- (1) 7. მონღოლებმა გადასახადები აღ დააკისრეს:
- ა. სამეფო კარის კუთვნილ მიწებს
 - ბ. ეკლესიას და საეკლესიო მიწებს
 - გ. მათ მხარეზე გადასულ ფეოდალებს და მათ მიწებს
 - დ. დუმნისთაეებს და მათ მიწებს
- (1) 8. რომელ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლეონარდო და ვინჩი?
- ა. XI საუკუნის II ნახევარსა და XII საუკუნის დასაწყისში
 - ბ. XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნის დასაწყისში
 - გ. XV საუკუნის II ნახევარსა და XVI საუკუნის დასაწყისში
 - დ. XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში
- (1) 9. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ქართლის მეფე ლუარსაბ I?
- ა. XV
 - ბ. XVI
 - გ. XVII
 - დ. XVIII
- (1) 10. ვინ იყო „სწავლულ კაცთა კომისიის“ შექმნის ინიციატორი?
- ა. ვახტანგ VI
 - ბ. ერეკლე II
 - გ. თეიმურაზ I
 - დ. ალექსანდრე V
- (1) 11. რომელი ეკუთვნოდა ფრანგ „განმანათლებელთა“ ჯგუფს?
- ა. ჟან კალვინი
 - ბ. გალილეო გალილეი
 - გ. ერაზმუს როტერდამელი
 - დ. ჟან-ჟაკ რუსო

(1) 12. საფრანგეთის რომელი მეფე დასაჯეს რევოლუციის დროს სიკვდილით?

- ა. ფრანცისკ I
- ბ. ანრი IV
- გ. შარლ X
- დ. ლუი XVI

(1) 13. ვინ სარდლობდა ფრანგებს აუსტერლიცის ბრძოლაში?

- ა. ბონაპარტე
- ბ. რობესპიერი
- გ. დანტონი
- დ. გოში

(1) 14. რომელი რეჟისორი შეეწირა XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს?

- ა. სანდრო ახმეტელი
- ბ. კოტე მარჯანიშვილი
- გ. დოდო აღეკსიძე
- დ. მიხეილ თუმანიშვილი

(1) 15. რომელი არ არის მოქალაქის უფლება?

- ა. მეწარმეობა
- ბ. კანონის მიღება
- გ. გაფიცვის უფლება
- დ. განათლების უფლება

II – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიური პრინციპით დააღაგეთ ისტორიული პიროვნებები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით, ხოლო ისტორიული მოვლენები – ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მეოთხე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დაგალება მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება.

(3) 16. ქრონოლოგიური პრინციპით დააღაგეთ საქართველოს მეფეები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით (უძველესიდან უახლესისაკენ):

1. ბაგრატ IV
2. დავით აღმაშენებელი
3. მირიანი
4. ფარნავაზი

(3) 17. ქრონოლოგიური პრინციპით დააღაგეთ შემდეგი მოვლენები (უძველესიდან უახლესისაკენ):

1. ხაზართა ლაშქრობა ქართლში
2. ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება
3. “დაცვის სიგელის” დადება
4. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა

(3) 18. ქრონოლოგიური პრინციპით დააღაგეთ მმართველები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით (უძველესიდან უახლესისაკენ):

1. ალფ-არსლანი
2. კიროსი
3. სულეიმან I
4. ხოსრო

III – მრავალწერტილის შევსება

ინსტრუქცია

ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ან თარიღების ნაცვლად ჩაწერეთ სწორი პასუხები. თითოეული გამოტოვებული ადგილი დანომრილია (1, 2, 3). პასუხების ფურცელში 1-ით დანომრილ ადგილზე ჩაიწერება ის პასუხი, რომელსაც ტექსტში 1-ით აღნიშნულ გამოტოვებულ ადგილზე ჩაწერდით და ა.შ. თითოეული სწორი პასუხი 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 3.

(3) 19. 1318 წელს საქართველოს სამეფო ტახტი მეფე (1) დაიკავა. მან შეძლო სამეფო ხელისუფლების გაძლიერება, ქვეყნის გაერთიანება, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუსლიმთაგან მიტაცებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნება და, რაც მთავარია, სამშობლოს (2) ბატონობისაგან გათავისუფლება. ამ უდიდესი დამსახურებების გამო, მეფე ისტორიაში (3) ზედწოდებით შევიდა.

გიორგი I; სელჩუკები; ბრწყინვალე; გიორგი III; მონღოლები;
დიდი; გიორგი V; ოსმალები; განმათავისუფლებელი.

(3) 20. XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში (1) მეფობდა. იგი ძალდონეს არ იშურებდა, რათა სამეფო ხელისუფლება განემტკიცებინა და ქვეყანა გაეძლიერებინა, მაგრამ კავკასიაში რუსეთის გამოჩენამ ყველაფერი შეცვალა. 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა (2) ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. რუსეთმა მალე მთელი საქართველო დაიპყრო. ქართველი ხალხი არ ეგუებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას და ბრძოლას განაგრძობდა, იყო მრავალი აჯანყება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო (3) წლის შეთქმულება.

თეიმურაზ I; პაველ I; 1808; ერეკლე II; ნიკოლოზ I;
1832; ვახტანგ VI; ალექსანდრე I; 1855.

IV - შესაბამისობების პოვნა

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა თითოეული კითხვის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში (x ნიშანი უნდა დასვათ სწორი პასუხის ადგილას. მაგ.: „1“ და „გ“-ის გადაკვეთაზე). თითოეული დავალება მაქსიმუმ 4 ქულით ფასდება.

(4) 21. იპოვეთ შესაბამისობა მოვლენებსა და თარიღებს შორის:

- | | |
|--|---------|
| 1. ალა მაჰმად-ხანის ღაშქრობა საქართველოში | ა. 1770 |
| 2. 18 ბრიუმერის გადატრიალება, დირექტორიისთვის ძალაუფლების ჩამორთმევა | ბ. 1774 |
| 3. პარიზის ზავი (ინგლისსა და აშშ-ს შორის) | გ. 1783 |
| 4. პირველი კონტინენტური კონგრესი | დ. 1789 |
| | ე. 1795 |
| | ვ. 1799 |

(4) 22. იპოვეთ შესაბამისობა მოვლენებსა და პიროვნებებს შორის:

- | | |
|---|-----------------------|
| 1. ე.წ. „ახალი კურსი“ | ა. ხო ში მინი |
| 2. ინდოეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის | ბ. ჰაველი |
| 3. „კარიბის კრიზისი“ | გ. კენედი |
| 4. ბრძოლა ფერადკანიანთა უფლებებისათვის | დ. მარტინ ლუთერ კინგი |
| | ე. რუზველტი |
| | ვ. განდი |

V - შეცდომის აღმოჩენა

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთმოყვანილი ტექსტი. იპოვეთ მასში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი შეცდომა და მისი გამოსწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა, ისე მისი გამოსწორებული ვარიანტი. ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილზე უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამოდენიმე სიტყვა. დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

(20) 23. I მსოფლიო ომი

1913 წლის აგვისტოში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ერთმანეთს ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი - „ანტანტა“ და „სამთა კავშირი“ - დაუპირისპირდა. „ანტანტაში“ დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და რუსეთი შედიოდა. „სამთა კავშირში“ თავიდან გაერთიანებული იყო გერმანია, ჩეხეთ-სლოვაკეთი და იტალია, თუმცა იტალია ომის დაწყებისას არ ჩაება სამხედრო მოქმედებებში, ხოლო 1915 წელს „ანტანტის“ მხარეს გადავიდა. სამაგიეროდ, გერმანიას ირანი მიემხრო და საომარი მოქმედებები კავკასიის ფრონტზეც დაიწყო. 1915 წელს მდინარე იპრთან ბრძოლაში, პირველად მსოფლიო ისტორიაში, საფრანგეთმა მომწამვლელი ქიმიური გაზები გამოიყენა. 1916 წელს, ასევე პირველად ისტორიაში, დიდმა ბრიტანეთმა მდინარე სომაზე ბრძოლაში ტანკები ჩააბა. 1917 წელს ალექსანდრე I-ის გადადგომისა და სსრკ-ში მონარქიის დამხობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის არმიის დემორალიზაციამ, გერმანიას დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა გაუადვილა. მიუხედავად ამისა, მისი და მისი მოკავშირეების მდგომარეობა მაინც უმძიმესი იყო. I მსოფლიო ომი 1919 წლის ნოემბერში „ანტანტის“ გამარჯვებით დამთავრდა. საბოლოო საზავო ხელშეკრულება საფრანგეთში, პოტსდამში დაიდო.

VI - ისტორიული წყაროს ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 12.

(12) 24. გაიუს იულიუს ცეზარი¹ – “კომენტარები გალებთან ომის შესახებ”

გერმანელთა ყოფა დიდად განსხვავდება გალების ცხოვრების წესისაგან. გერმანელებს არ ჰყავთ დრუიდები², რომლებიც ღვთისმსახურების რიტუალებს ხელმძღვანელობენ, ასევე ისინი არ არიან გატაცებულნი მსხვერპლშეწირვით. ღმერთებად ისინი აღიარებენ მხოლოდ მზეს, ცეცხლს და მთვარეს, ანუ ბუნების იმ ძალებს, რომელთაც ისინი საკუთარი თვალთ ხედავენ და რომელთა დადებითი გავლენის ნახვის შესაძლებლობაც აქვთ. სხვა ღმერთების შესახებ მათ არაფერი გაუგიათ. მთელი მათი ცხოვრება ნადირობაში და საომარ მოქმედებებში გადის. ღრმა ბავშვობიდან ისინი კაჟებიან, ეჩვევიან მათთვის დამახასიათებელ მძიმე ცხოვრებას.

გერმანელები მიწათმოქმედებას დიდ დროს არ უთმობენ, იკვებებიან ძირითადად რძით, ყველით და ხორციით. არცერთ მათგანს არ აქვს ზუსტად მოზომილი მიწის ნაკვეთი ან სამფლობელო კერძო საკუთრებაში. თუმცა ყოველწლიურად თანამდებობის პირები და უხუცესები საგვარეულოებსა და ჯგუფებს, ერთად მცხოვრებ ნათესავებს, მიწის გარკვეულ ნაკვეთს უზომავენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ აიძულებენ სხვა ადგილზე გადასვლას. მათ ამ წესის საკუთარი ახსნა გააჩნიათ: მათი სიტყვებით, მსგავსი პრინციპი გერმანელებს საშუალებას არ აძლევს ბინადარი ცხოვრების წესს მისდინონ და ომები სამიწათმოქმედო სამუშაოებზე გაცვალონ. ამის გამო არავინ ცდილობს სამფლობელოების გაფართოვებას, უფრო ძლიერნი მიწიდან არ დევნიან უფრო სუსტებს და არავინ უთმობს დიდ დროს საცხოვრებლის აშენებას სიცივისგან დასაცავად. და ბოლოს, ეს წესი ხელს უშლის ფულისადმი სიხარბეს, რის გამოც ხდება ხოლმე პარტიული ბრძოლები და დაპირისპირებები, ხელს უწყობს უბრალო ხალხში ქონებრივი თანასწორობის განცდას ყველაზე ძველამოსილ ადამიანებთან მიმართებაში.

¹ გაიუს იულიუს ცეზარი (ძვ.წ. 100-44 წწ); აღნიშნული ნაშრომი დაახლ. ძვ.წ. 52-51 წწ-ში დაიწერა.

² დრუიდები – ქურუმები გალიაში.

კითხვები:

(3) **24.1.** წყაროს ტექსტიდან გამომდინარე, რით განასხვავებს ცეზარი გერმანელებს გალებისგან?

(2) **24.2.** წყაროს ტექსტიდან გამომდინარე, რატომ აღიარებენ გერმანელები მზეს, მთაერეს და ცეცხლს ღმერთებად?

(3) **24.3.** წყაროს ტექსტიდან გამომდინარე, მეურნეობის რა დარგებს მისდევდნენ ძველი გერმანელები?

(1) **24.4.** წყაროს ტექსტიდან გამომდინარე, რატომ აიძულებენ გერმანელებს 1 (ერთი) წლის შემდეგ მიწის ნაკვეთის გამოცვლას?

(3) **24.5.** წყაროს ტექსტიდან გამომდინარე, ჩამოთვალეთ მინიმუმ 3 (სამი) დადებითი შედეგი, რომელიც გერმანელთა აზრით, მათი ცხოვრების აღნიშნულ წესს, ყოველწლიურად მიწის ნაკვეთის გამოცვლას, მოაქვს?

VII - ისტორიული რუკა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 10.

(10) **25.** მოცემულია რუკა, რომელსაც არ გააჩნია სათაური და ლეგენდის ნაწილში მთლიანად ან ნაწილობრივ აკლია ზოგიერთი პირობითი ნიშნის განმარტება. საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით, დაკვირვებით შეისწავლეთ მოცემული რუკა და უპასუხეთ შეკითხვებს.

კითხვები:

(3) **25.1.** რომელ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ომის სამხედრო მოქმედებებია დატანილი რუკაზე და რეგიონში არსებული რომელი მესამე სახელმწიფო არ მონაწილეობდა ომში?

(1) **25.2.** მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელ წელს მიმდინარეობდა ომი?

(1) **25.3.** რომელმა სახელმწიფომ გაიმარჯვა ომში?


(1) **25.4.** დაასახელეთ ქალაქი, რომელიც ომში გამარჯვებულმა მხარემ დაიკავა და დღეს ის საქართველოს ტერიტორიაზეა.

(2) **25.5.** დაასახელეთ მინიმუმ ორი ქალაქი, რომელიც გამარჯვებულმა მხარემ დაიკავა და დღეს ისინი საქართველოს შემადგენლობაში არ შედის.

(1) **25.6.** რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად რომელი ქალაქის დაკავება გაუჭირდა გამარჯვებულ მხარეს? მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

(1) **25.7.** თქვენი აზრით, რომელი მეომარი ქვეყნის მხარე უნდა დაეჭირათ მაშინ ქართველებს და რატომ?

რუსეთ-ოსმალეთის ომის საბრძოლო მოქმედებათა გეგმის თეატრი



- ქალაქი
- ში. მტკვარი მდინარე
- მიერ ალყა შემოეჭმე
- მიერ ალყა შემოეჭმე

		საზღვარი		ომის შემდეგ მიერ დაკავებული ტერიტორია
	საზღვარი		სახელმწიფოთა შორის 1877 წლისათვის		ომის შემდეგ მიერ დაკავებული ტერიტორია

პასუხები:

(1ქ) 1.დ

(1ქ) 2.ბ

(1ქ) 3.ბ

(1ქ) 4.დ

(1ქ) 5.გ

(1ქ) 6.ბ

(1ქ) 7.ბ

(1ქ) 8.გ

(1ქ) 9.ბ

(1ქ) 10.ა

(1ქ) 11.დ

(1ქ) 12.დ

(1ქ) 13.ა

(1ქ) 14.ა

(1ქ) 15.ბ

(3ქ) 16. 4 3 1 2

(3ქ) 17. 1 3 4 2

(3ქ) 18. 2 4 1 3

(3ქ) 19. (1) გიორგი V; (2) მონღოლები; (3) ბრწყინვალე.

(3ქ) 20. (1) ერეკლე II; (2) ალექსანდრე I; (3) 1832.

(4ქ) 21.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1					X	
2						X
3			X			
4		X				

(4ქ) 22.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1					X	
2						X
3			X			
4				X		

(20ქ) 23.

არის	უნდა იყოს
1. 1913	1. 1914
2. ესპანეთი	2. საფრანგეთი
3. ჩეხეთ-სლოვაკეთი	3. ავტრო-უნგრეთი
4. ირანი	4. თურქეთი/ოსმალეთი
5. საფრანგეთი	5. გერმანია
6. ალექსანდრე I	6. ნიკოლოზ II
7. სსრკ	7. რუსეთი
8. დასავლეთი	8. აღმოსავლეთი
9. 1919	9. 1918
10. პოტსდამი	10. ვერსალი

(12ქ) 24.

(3ქ) 24.1. არ ჰყავთ დრუიდები//არ არიან გატაცებულნი მსხვერპლშეწირვით//მხოლოდ მზეს, მთვარეს და ცეცხლს ეთაყვანებიან//მათი ცხოვრება ნადირობაში და საბრძოლო მოქმედებებში გადის.

(2ქ) 24.2. საკუთარი თვალთ ხედავენ მათ//მათი დადებითი გავლენის ძალას ხედავენ// სხვა ღმერთებზე არაფერი გაუგიათ.

(3ქ) 24.3. ნადირობა//მეცხოველეობა//მიწათმოქმედება.

(1ქ) 24.4. ბინადარი ცხოვრების თავის ასარიდებლად//მეომარი ცხოვრების შესანარჩუნებლად.

(3ქ) 24.5. ძლიერები არ ჩაგრავენ სუსტებს, არ არის დავა მიწაზე//არ ცდილობენ სამფლობელოების გაფართოვებას//ფულისადმი სიხარბეს უშლის ხელს, რაც კონფლიქტებს წარმოშობს//ხელს უწყობს თანასწორობის განცდას//პარტიული ბრძოლები და დაპირისპირებები არ ხდება//ომები არ გაიცვლება მიწათმოქმედებაზე.

p.s. ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში, პასუხი 0 ქულით ფასდება.

(10ქ) 25.

(3ქ) 25.1. რუსეთი და თურქეთი (ოსმალეთი); ირანი (სპარსეთი).

(1ქ) 25.2. 1877.

(1ქ) 25.3. რუსეთმა//რუსეთის იმპერიამ.

(1ქ) 25.4. ბათუმი.

(2ქ) 25.5. ართვინი; არდაგანი//არტაანი; ყარსი; სარიყამიში.

(1ქ) 25.6. ყარსი, ალყის გამო.

(1ქ) 25.7. ნებისმიერი ლოგიკური, არგუმენტირებული პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, 1 ქულით ფასდება.

p.s. ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში, პასუხი 0 ქულით ფასდება.